მალდივის კუნძულები

ადგილს, რომელზეც ტექსტი მოგიყვება, დედამინის სამოთხეს ეძახიან. საინტერესოა, რას გულისხმობენ ამაში? წაიკითხე ტექსტი და იპოვე პასუხი ამ კითხვაზე.

გსმენია რამე მალდივის კუნძულებზე? ისინი ინდოეთის ოკეანეში არის გაფანტული. რუკას თუ დახედავ, ზურმუხტის ყელსაბამი გეგონება. ცოტა კი არ არის – მარჯნის 1190 კუნძულია. მარჯანი წყლის ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საცეცებით არის მიმაგრებული ოკეანის ფსკერზე. კუნძულების პლაჟებზე ყვითელი ქვიშაა. იქვე ბუნებრივი **ლაგუნები** – ზღვას მოწყვეტილი პატარა ტბებია. სანაპიროებზე მწვანე პალმები ხარობს. ეს ადგილი ნამდვილ სამოთხეს ჰგავს.

მალდივი აზიის ყველაზე პატარა რესპუბლიკაა. ამავე დროს, იგი მსოფლიოში ყველაზე დაბლა მდებარეობს ზღვის დონიდან. აქ ყველაზე მაღალი წერტილი სულ რაღაც 2-3 მეტრია.

მალდიველები მსოფლიოს ყველაზე გა-ფანტული ერია. ქვეყნის მოსახლეობა მხო-ლოდ 557426 ადამიანს შეადგენს. აქედან 70000 უცხოელია. მათი უმეტესობა ტურის-ტულ ბიზნესში არის ჩართული. **აბორიგენი** მალდიველები 185 კუნძულზე ცხოვრობენ. დანარჩენ კუნძულებს კი ტურისტული ან სამეურნეო მიზნით იყენებენ. მათი ძალიან დიდი ნაწილი დაუსახლებელია.

მართალია, მალდივის საერთო ფართობი მცირეა, მოსახლეობაც ცოტაა. მიუხედავად ამისა, ეს ქვეყანა მსოფლიოში ძალიან განთქმულია. თეთრ პლაჟებს გარს მარჯნის რიფები აკრავს. ისინი ბუნებრივ ლაგუნებს ქმნის. რიფებს **კამკამა** წყალი რეცხავს. უბერავს ნოტიო ქარი და ჰავაც ზომიერია. თუმცა აქ ტროპიკული **მუსონებიც** ხშირად იცის. მალდივის კუნძულებთან საუკეთესო ადგილია წყალქვეშ ცურვისთვის ანუ დაივინგისთვის. ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავთ მარჯნის ბაღები. იქ 2000-ამდე სახეობის ზღვის ცხოველი თუ თევზი ბინადრობს. მათ შორისაა გადაშენების პირას მყოფი ვეშაპისებრი ზვიგენი, ასევე, მარჯნის რიფის ფერადი თევზები.

სამწუხაროდ, გლობალური დათბობა მალდივის კუნძულებს საფრთხეს უქმნის. XX საუკუნის დასაწყისიდან წყლის დონემ 20 სმ-ით აიწია. ამით კი კუნძულების ჩაძირვის საშიშროებამ იმატა. ეს საფრთხე იმდენად სერიოზულია, რომ ქვეყნის მთავრობამ ინდოეთში მიწის შესყიდვაც კი დაიწყო. თუ წყლის დონე მეტისმეტად აიწევს, მოსახლეობის იქ გადასახლება იგეგმება. ამ საოცარი კუნძულების ჩაძირვა ყველასთვის დიდი დანაკარგი იქნება. თუმცა, როგორც ამბობენ, ჯერ საშიში არაფერია. მალდივის კუნძულები კვლავ რჩება მსოფლიოს ულამაზეს და უმშვიდეს ადგილად.

ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიო საოცრებების“ მიხედვით.

კომპონენტი: *მთავარი იდეა და დეტალები,* **დონე:** *4.2*

რა გაიგე საინტერესო მალდივის კუნძულების შესახებ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რა არის პირველი აბზაცის მთავარი იდეა?

ა) მალდივი ინდოეთის ოკეანეში გაფანტული მარჯნის კუნძულებია.

ბ) მალდივის კუნძულების პლაჟებზე ყვითელი ქვიშა და მწვანე პალმებია.

გ) ზურმუხტისფერი მალდივის კუნძულების რაოდენობა არის 1190.

2 მალდივის რესპუბლიკის მოსახლეობა:

ა) სულ 557426 ადამიანს შეადგენს.

ბ) ყველა კუნძულზეა გაფანტული.

გ) მხოლოდ ტურიზმით ირჩენს თავს.

3 რატომ მოსწონთ მალდივის კუნძულები ტურისტებს?

ა) კუნძულები ზღვის დონიდან დაბლა მდებარეობს.

ბ) კუნძულები სილამაზით ნამდვილ სამოთხეს ჰგავს.

გ) კუნძულების უმეტესი ნაწილი დაუსახლებელია.

4 მალდივის კუნძულებს საფრთხეს უქმნის:

ა) გლობალური დათბობა.

ბ) სამეურნეო საქმიანობა.

გ) ტურისტული ბიზნესი.

5 ტექსტის მთავარი სათქმელია:

ა) მალდივის კუნძულებზე პლაჟები მარჯნის რიფებითაა შემოსაზღვრული.

ბ) მალდივის კუნძულები ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია დაივინგისთვის.

გ) მალდივის კუნძულები მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **<u>აბორიგენი</u>** მალდიველები 185 კუნძულზე არიან მიმოფანტული.

   ა) ადგილობრივი. ბ) გადასახლებული. გ) დასაქმებული.

2. რიფებს **<u>კამკამა</u>** წყალი რეცხავს.

   ა) თბილი. ბ) ცისფერი. გ) სუფთა.

3. მალდივებზე ტროპიკული **<u>მუსონიც</u>** ხშირად იცის.

   ა) ამინდი. ბ) სიცხე. გ) ქარი.

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ანკარა. ბ) კამკამა. გ) სუფთა. დ) ცივი.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) ანკარა – კამკამა. გ) ნოტიო – მშრალი. დ) ჰავა – კლიმატი.

გრამატიკა

1 ჩაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები თანდებულიანი ფორმით.

1. აქ ზღვის (*დონე*) ---------- უმაღლესი წერტილი სულ რაღაც 2-3 მეტრია.

2. კუნძულების ჩაძირვა (*ყველა*) ---------- დიდი დანაკარგი იქნება.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ძალიან ბევრ კუნძულზე ხალხი არ ---------- . ***(ცხოვრობს / ცხოვრობენ)***

2. მარჯნის ბაღებში 2000-ამდე სახეობის ზღვის ცხოველი თუ თევზი ---------- .
(ბინადრობს / ბინადრობენ)

3 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ლამაზი – **ულამაზესი** (ყველაზე ლამაზი).

1. მშვიდი – ---------- (ყველაზე მშვიდი). 2. მეტი – ---------- (ყველაზე მეტი).

გრამატიკა

4 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.**

	[X] *მიუხედავათ ამისა.*	[ ] *მიუხედავად ამისა.*
1.	[ ] ბევრი კუნძულები.	[ ] ბევრი კუნძული.
2.	[ ] მარჯანის.	[ ] მარჯნის.
3.	[ ] მეტის მეტად.	[ ] მეტისმეტად.

წერა

1 **ამოიწერე ტექსტიდან მალდივის ყველა მახასიათებელი და შეავსე სქემა.**

მდებარეობა	
მოსახლეობა	
ჰავა	
ბუნება	
მოსალოდნელი საფრთხე	

2 **წარმოიდგინე, რომ აკვალანგით ათვალიერებ მალდივის ულამაზეს და გასაოცარ მარჯნის კუნძულებს. მისწერე მეგობარს წერილი შენი შთაბეჭდილებების შესახებ. ნამუშევარი გააფორმე ნახატით.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____